დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
13 **ივნისი**, 2016

საკონტაქტო პირი:
დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org
თბილისი, +995 577 77 96 39
ემილი როდრიგესი, erodriguez@ndi.org,
ვაშინგტონი,+1 202 728-55005

NDI–ის დელეგაცია საქართველოში წინასაარჩევნო გარემოს შეაფასებს

თბილისი – **დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა** (NDI) **საქართველოში** 8 **ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე დასაკვირვებლად საერთაშორისო სადამკვირვებლო დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ განაცხადა**. NDI-**ის სადამკვირვებლო დელეგაციის მიზანი საქართველოში დემოკრატიული პროცესებისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის დემონსტრირება და საარჩევნო პროცესებისადმი საზოგადოების ნდობის გამტკიცებაა**.

დელეგაციის წევრები არიან სემ კოპერსმითი, **აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი და დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე არიზონას შტატში**; **პერ ეკლუნდი**, **საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი და ყოფილი ელჩი**; **მაიკლ პოზნერი**, **სახელმწიფო დეპარტამენტში დემოკრატიის**, **ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე**; **იანუშ ონიშკევიჩი**, **პოლონეთის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი და პოლონეთის სეიმის ყოფილი წევრი**; **ლორა ჯუიტი**, NDI-**ის ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი და ლორა თორნტონი**, NDI-**ის ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში**.

ხელისუფლებასთან, **საარჩევნო კანდიდატებთან**, **პოლიტიკური პარტიის ლიდერებთან**, **საარჩევნო ადმინისტრაციის**, **სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგად დელეგაცია არჩევნებისთვის სამზადისს**, **საარჩევნო პროცესის ძირითადი სუბიექტების პოლიტიკურ აქტივობებსა და ზოგადად საარჩევნო გარემოს შეაფასებს**. NDI-**ის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია საქმიანობას მიუკერძოებლად**, **პროფესიონალურად და საქართველოს კანონმდებლობისა და არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესაბამისად განახორციელებს**.

17 **ივნისს**, **მუშაობის დასრულების შემდეგ**, NDI-**ის დელეგაცია ანგარიშის სახით წინასაარჩევნო გარემოს შეფასების ძირითად დასკვნებს პრეს-კონფერენციაზე**

გამოაქვეყნებს. ანგარიშის გამოქვეყნებამდე დელეგაცია მედიასთან კომენტარს არ გააკეთებს.

სადამკვირვებლო დელეგაციას აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) **აფინანსებს**.

NDI ***არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის ხელშეწყობით მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მსოფლიოში. დამატებითი ინფორმაცია*** *NDI–****ისა და მისი პროგრამების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე*** *www.ndi.org*